

კლუბში ქვევის წესები

რომლის საქმიანობაც ხორციელდება „World Class,, - ის სასაქონლო ნიშნით.

კლუბში ვიზიტის წესები, რომლის საქმიანობაც ხორციელდება „World Class,, -ის სასაქონლო ნიშნით, (შემდეგ ტექსტში წესები) შესასრულებლად სავალდებულოა: კლუბის წევრებისათვის, კლუბის პოტენციური წევრებისათვის, კლუბის სტუმრებისა და მესამე პირთათვის. წესები არ არის ამომწურავი, რადგან შემსრულებელს უფლება აქვს დამოუკიდებლად შეავსოს და შეცვალოს ისინი.

კლუბში, წინამდებარე წესების ფარგლებში იგულისხმება: უძრავი ქონების ობიექტი, რომელიც წარმოადგენს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ნაგებობას, რომელიც თავის თავში აერთიანებს: შენობა-ნაგებობებს, მოედნებს, რომლებიც აღჭურვილია სპეციალური ტექნიკური საშუალებებით და გამოიყენება ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარებისთვის.

კლუბის წევრის ქვეშ იგულისხმება მომსახურების მომხმარებელი, მოქალაქე, რომლის მიზანია დაკავდეს ფიზიკური ვარჯიშით, (ან უკვე ვარჯიშობს) ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ავადმყოფობის პროფილაქტიკის, მაღალი შრომისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა სახის აქტიურ დასვენებებში და ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, რომლებიც ტარდება კლუბის ტერიტორიაზე. კლუბის მომსახურებით/დამატებითი მომსახურებით სარგებლობის სურვილის შემთხვევაში, კლუბის სტუმარი ვალდებულია დაიცვას ყველა წესი, როგორც კლუბის წევრმა.

1. კლუბის წევრი, კლუბის მომსახურების/დამატებითი მომსახურების მიღებამდე ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს და შეასრულოს წინამდებარე წესები. ხელშეკრულება, დადებული კლუბის წევრსა (დამკვეთსა) და იურიდიულ პირს (შემდეგ ტექსტში შემსრულებელი) შორის, უზრუნველყოფს კლუბის წევრებისთვის შემდეგი სახის მომსახურების გაწევას: ფიზკულტურული, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების და სხვა სახის მომსახურების გამართვა-ორგანიზებას სპეციალურად განსაზღვრულ, გამართულ, სპეციალური ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ შენობებში (შემდეგ ტექსტში კლუბი). კლუბის წევრების მომსახურებისას, შემსრულებელი გამოდის იქიდან რომ , კლუბის წევრი გაეცნო ხელშეკრულების პირობებს, კლუბის წესებს და ისინი მისთვის გასაგები და მისაღებია.

2. კლუბის მუშაობის საათები, აგრეთვე მომსახურებით სარგებლობის საათები კლუბში განთავსებულია კლუბის მისაღებში, საინფორმაციო დაფაზე ან ინფორმაციის სხვა მატარებელზე და ვებ.საიტზე : www.worldclass.ge ან სხვა ხელშეკრულებით განსაზღვრული მეთოდით ეცნობება დამკვეთს/კლუბის წევრს. მომსახურებით სარგებლობის შეზღუდვები გათვალისწინებულია წესებით და სავალდებულოა შესასრულებლად კლუბის ყველა წევრისთვის, დადგენილი წვდომის ტიპის მიუხედავად. შემსრულებელი იტოვებს უფლებას, ცალმხრივად შეცვალოს კლუბის მუშაობის საათები, წვდომის ტიპის მიხედვით მომსახურების მიღების საათები კლუბში, ან ზონების/სტუდიების/დარბაზების მოხმარების საათების განრიგი და ა.შ.

3. კლუბის წევრებს შეუძლიათ ისარგებლონ მომსახურებით, კლუბის ნაგებობებით და კლუბის აღჭურვილობით, რომლებიც განკუთვნილია ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარებისთვის, მხოლოდ კლუბის მუშაობის საათებში, თუ სხვა არ არის გათვალისწინებული წვდომის ტიპის მიხედვით კლუბში ან ხელშეკრულებით. კლუბის წევრი ვალდებულია დატოვოს კლუბის შენობა, კლუბის მუშაობის დასრულებამდე. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კლუბის წევრის უფლება, კლუბის მომსახურებით სარგებლობის შეზღუდული წვდომის ტიპით, (მაგ. მხოლოდ განსაზღვრული დღეები და საათები) მაშინ კლუბის წევრს არა აქვს უფლება იმყოფებოდეს კლუბის ტერიტორიაზე, ისარგებლოს მომსახურებით/დამატებითი მომსახურებით, იმ დღეებში და საათებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კლუბში წვდომის ტიპით. კლუბის წევრს არა აქვს უფლება ისარგებლოს მომსახურებათა ნუსხით, თუ არა აქვს შესაბამისი ტიპის წვდომა კლუბში. კლუბის წევრს არა აქვს უფლება იმყოფებოდეს იმ ნაგებობებში, სადაც წარმოდგენილია მომსახურება, რომელიც არ არის შესული კონკრეტულ წვდომის ტიპში. შემსრულებელი იტოვებს უფლებას კლუბის წევრისაგან აიღოს დამატებითი საფასური, იმ შემთხვევაში, თუ კლუბის წევრი იმყოფება იმ ტერიტორიაზე, სადაც წარმოდგენილი მომსახურება არ არის გათვალისწინებული შესაბამის წვდომის ტიპით, აგრეთვე, თუ კლუბის წევრი იმყოფება კლუბში, არასამუშაო საათებში, ან იმ დღეს და საათებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული კლუბში წვდომის ტიპით. კლუბის წევრი ვალდებულია, შემსრულებლის მოთხოვნით გადაიხადოს დამატებითი გადასახადი, იმ ოდენობით, რომელიც გათვალისწინებულია შემსრულებლის მოქმედი პრეისკურანტით.

4. კლუბის წევრი, კლუბში ყოველი ვიზიტისას ვალდებულია, დაცვის პოსტზე და კლუბის მიმდებში წარმოადგინოს სახელობითი ბარათი (შემდეგ ტექსტში; „ საკლუბო ბარათი „) ან შემსრულებლის მიერ გაცემული საიდენტიფიკაციო საშუალება. საკლუბო ბარათის/ელექტრონული საიდენტიფიკაციო საშუალების დამზადებამდე, კლუბის წევრი ვალდებულია დაცვის პოსტზე და კლუბის მიმდებში, წარადგინოს ხელშეკრულების ორიგინალი და პირადობის დამადასტურებელი, მოქმედი საბუთი.

4.1 საკლუბო ბარათის დასამზადებლად, კლუბის წევრის კლუბში წვდომის ორგანიზებისათვის, და მომსახურების/დამატებითი მომსახურების მისაღებად, კლუბის წევრმა შემსრულებელს უნდა წარუდგინოს თანხმობა, პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე და მიაწოდოს შემდეგი პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი, მისამართი, მისი პიროვნების დამადასტურებელი, ძირითადი საბუთის ნომერი, საბუთის გაცემის თარიღი და საბუთის გამცემი ორგანო.

4.2 კლუბში, კლუბის წევრების საიდენტიფიკაციოდ, ან კლუბის წევრის წვდომისათვის კლუბის მომსახურებაზე, მრავალდონიანი სისტემის გამოყენების შემთხვევაში, ელექტრონული საიდენტიფიკაციო საშუალების დასამზადებლად, კლუბის წევრი ვალდებულია შემსრულებელს წარუდგინოს შემდეგი პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი, მისამართი, მისი პიროვნების დამადასტურებელი, ძირითადი საბუთის ნომერი, საბუთის გაცემის თარიღი და მისი გამცემი ორგანო, ბიომეტრიული მონაცემები; ფოტოსურათი, რომელსაც აწარმოებს კლუბის თანამშრომელი.

4.3 იმ შემთხვევაში, თუ კლუბის წევრს არ აღმოაჩნდა საკლუბო ბარათი/ელექტრონული საიდენტიფიკაციო საშუალება, კლუბის წევრზე გაიცემა დროებითი საიდენტიფიკაციო

საშუალება, კლუბის წევრის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს შემსრულებლის კუთვნილებას და რომელიც მოქმედებს, მხოლოდ გაცემის დღეს. კლუბის წევრი ვალდებულია დაუბრუნოს შემსრულებელს დროებითი საიდენტიფიკაციო საშუალება იმავე დღეს.

4.4 კლუბის მომსახურებით/დამატებითი მომსახურებით, საკლუბო ბარათით, ელექტრონული საიდენტიფიკაციო საშუალებით და ა.შ. სარგებლობა შეუძლია, მხოლოდ კლუბის წევრს ვის სახელზეც არის გაფორმებული საკლუბო ბარათი/საიდენტიფიკაციო საშუალება, ან ვის სასარგებლოდაც არის დადებული ხელშეკრულება.

5. კლუბში ყოფნისას თქვენი პირადი ნივთები დატოვებთ კლუბის კარადაებში და გასახდელეებში. ზედა სამოსი და თავსაბურავები კლუბის გარდერობში; ფასიანი, ძვირფასი ან ძვირადღირებული ნივთები: სამკაულები, გასაღებები, საათები, ტელეფონები, კომპიუტერები და სხვა მნიშვნელოვანი სამაგისტრო, ფასიანი და ძვირადღირებული საგნები: ფული, ფასიანი ქაღალდები - სპეციალურ სეიფებში/საკნებში, რომლებიც განთავსებულია კლუბის ტერიტორიაზე. სეიფების / საკნების განთავსების ადგილი დააზუსტეთ შესაბამისი კლუბის მიმღებში. კარადაების, სეიფების, საკნების გასაღებები გაცემა მიმღებში, მხოლოდ საკლუბო ბარათის დატოვების შემთხვევაში. კლუბში სეიფების, საკნების, კარადაების გასაღებად შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა მეთოდიც, მათ შორის საიდენტიფიკაციო ბარათის გამოყენებით. კლუბის ტერიტორიის დატოვებისას, კლუბის წევრი ვალდებულია გაათავისუფლოს შესაბამისი კარადაები, სეიფები, საკნები თავისი პირადი ნივთებისგან და დააბრუნოს გასაღები/ბოქლომი ან სხვა გამღები/ჩამკეტი მოწყობილობა კლუბის მიმღებში. შემსრულებელი აფრთხილებს კლუბის წევრებს, რომ უმეთვალყურეოდ არ დატოვონ, და არ გადასცენ გასაღები, გამღები/ჩამკეტი მოწყობილობა კლუბის სხვა წევრებს, და მესამე პირებს.

6. შემსრულებელს შეუძლია დამოუკიდებლად ან მესამე პირების ჩართვით, მისცეს კლუბის წევრს საშუალება, კლუბში ყოფნისას, დროებით ისარგებლოს სხვადასხვა ნივთებით (პირსახოცი, ხალათი და ა.შ.), რომლებიც არის შემსრულებლის ან მესამე პირის კუთვნილებაში. ამ ნივთების შეთავაზების და მოხმარების პირობებს არეგულირებს ყოველი კლუბი და შემსრულებელი დამოუკიდებლად. დროებითი მოხმარების ნივთების გაცემა კლუბის წევრებზე, წარმოებს კლუბის ტერიტორიაზე, ამისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზონებში. კლუბის დატოვებამდე, კლუბის წევრი ვალდებულია დატოვოს დროებით მოხმარებაში აღებული ნივთები კლუბში ამისათვის განკუთვნილ ზონაში.

7. თუ ხელშეკრულებით არ არის სხვა მომსახურება გათვალისწინებული, შემსრულებლის პრეისკურანტით გათვალისწინებული, დამატებითი საფასურის გადახდის შემთხვევაში, კლუბის წევრზე ხდება დამატებითი მომსახურების შეთავაზება (შემდეგ ტექსტში დამატებითი მომსახურება) : ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი ღონისძიებები კლუბის თანამშრომელთან პერსონალური მეცადინეობის ფორმატში, ზონების/სტუდიების, დანადგარების და ინვენტარის არენდა, მასაჟი, სოლარიუმი, ფიტნეს-ტესტირება, სპეციალისტის კონსულტაცია, პროდუქცია და ბარის მომსახურება, კლუბის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებით შემოსვლა, გადაადგილება და ა.შ .

8. დამატებით მომსახურებაზე ჩაწერა ხორციელდება კლუბის მიმღებში, კლუბის სალაროში ნაღდი ან უნაღდო ფორმით , წინასწარი, 100% იანი გადახდის შემთხვევაში.

9. კლუბის წევრს შეუძლია გადაიტანოს ან უარი თქვას დამატებით მომსახურებაზე, მისი დაწყების დროიდან არაუგვიანეს 6 საათით ადრე, წინააღმდეგ შემთხვევაში გადახდილი თანხა უკან არ დაბრუნდება.

10. დამატებითი მომსახურებით სარგებლობისათვის, დამკვეთს შეუძლია, შემსრულებლის სალაროში განახორციელოს წინასწარი გადახდა, ან გადარიცხოს თანხა შემსრულებლის ანგარიშზე, ავანსის სახით. დამატებითი მომსახურების გაწევისას, მისი ღირებულება ჩამოიჭრება შემსრულებლის ანგარიშზე შეტანილი ავანსიდან, რაც მოწმდება შემსრულებლის მიერ დამადასტურებელი საბუთის გაცემით, რომელიც უნდა წარუდგინოს კლუბის წევრმა, კლუბის თანამშრომელს მომსახურების მიღებისას.

11. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა დამატებითი მომსახურების საფასურის გადახდა, შემსრულებელს უფლება აქვს, შეუზღუდოს კლუბის წევრს მომსახურების მიღება, დამატებით მომსახურებაზე დავალიანების დაფარვამდე. თუ კლუბის წევრი გაწეული დამატებითი მომსახურებიდან 1 (ერთი) დღის განმავლობაში არ ფარავს ან უარს იბამს დავალიანების დაფარვაზე.

12. ზოგიერთ ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე, მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია, რაც გამოწვეულია დამატებითი ინვენტარის გამოყენების აუცილებლობით. ამ ღონისძიებებზე წინასწარი ჩაწერა ხორციელდება კლუბის მიმღებში, ღონისძიების დაწყებამდე არა უგვიანეს 12 საათით ადრე. თუ ღონისძიების დაწყებისას, ღონისძიებაზე ჩაწერილი კლუბის წევრი არ არის ადგილზე, მისი ჩანაწერი უქმდება და მის ადგილას ეწერება ნებისმიერი მსურველი კლუბის წევრი.

13. კლუბის ზოგიერთი ზონები/სტუდიები/დარბაზები შეიძლება გამოყენებული იქნას, ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებებისთვის, მხოლოდ კლუბის თანამშრომელთან პერსონალური მეცადინეობის ფორმატში. ამ ზონებში/სტუდიებში/დარბაზებში ფიზკულტურული, ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების ჩატარება დამოუკიდებელი მეცადინეობის ფორმატში, ნებადართულია, მხოლოდ კლუბის მიმღებში სარეზერვო ფურცელში (რეზერვი/დაჯავშნა) ჩანაწერის გაკეთების და შემსრულებლისთვის მათი გამოყენების საფასურის გადახდის შემდეგ. ზონების/ სტუდიების/დარბაზების რეზერვის/დაჯავშნის პრიორიტეტი აქვთ იმ კლუბის წევრებს, რომლებსაც ასევე დაფარული აქვთ დამატებითი მომსახურების საფასური, ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი ღონისძიებებზე კლუბის თანამშრომელთან პერსონალური მეცადინეობის ფორმატში. ზონებში/სტუდიებში/დარბაზებში ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ -გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების დამოუკიდებლად ჩატარების უფლება, წინასწარი ჩაწერის გარეშე, კლუბის წევრს აქვს იმ შემთხვევაში, თუ ეს ზონები თავისუფალია და მათი მოხმარების თანხა გადახდილია შემსრულებლისთვის. ინფორმაცია კლუბის ზონებში/სტუდიებში/დარბაზებში ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად რეზერვის/ჯავშნის პირობებზე შეგიძლიათ მიიღოთ კლუბის მიმღებში.

14. კლუბური ღონისძიებების ჩატარებისას, ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი ღონისძიებები ჯგუფური ან კლუბის თანამშრომელთან პერსონალურ ფორმატში, ზონები შემსრულებლის მიერ შეიძლება შეზღუდული იყოს კლუბის წევრებისთვის.

15. განრიგში, შემსრულებელს შეაქვს კლუბის წევრის მომზადების დონის მიხედვით, რამოდენიმე დონის სირთულის ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. შემსრულებელი ცვლის განრიგს სეზონის, ღონისძიების რეიტინგის და კლუბის წევრების სურვილის გათვალისწინებით. შემსრულებელს უფლება აქვს შეიტანოს ცვლილება ღონისძიებების მოქმედ განრიგში და მოახდინოს კლუბის თანამშრომლის ჩანაცვლება.

16. ფიზკულტურული, ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი ღონისძიებები ჯგუფურ და კლუბის თანამშრომელთან ინდივიდუალური მეცადინეობის ფორმატში, წარმოებს კლუბის თანამშრომლებთან, შემსრულებლის მიერ დაწესებული წესით.

17. წვიმის, ძლიერი ქარის ან სხვა კლიმატური მოვლენებისას, ფიზკულტურული, ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი ღონისძიებები ღია ცის ქვეშ შეიძლება გაუქმებული იქნას შემსრულებლის მიერ, რაზეც კლუბის წევრები ინფორმირებულნი იქნებიან კლუბის მიმღებში.

18. იმ შემთხვევაში, თუ კლუბის წევრმა შეუძლოდ იგრძნო თავი, უმნიშვნელოდაც კი, აუცილებელია ამის შესახებ ინფორმირებული იქნას კლუბის თანამშრომელი, რომელიც ატარებს ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელ ღონისძიებას, ან კლუბის სხვა თანამშრომელი, რათა გაწეული იქნას პირველი დახმარება. თუ კლუბის წევრის ჯანმთელობის მდგომარეობა გაუარესდა იმ მომენტში, როცა გვერდით არ იმყოფება კლუბის თანამშრომელი, მიმართეთ ნებისმიერ გვერდზე მდგომ ადამიანს პირველი დახმარებისთვის ან კლუბის თანამშრომლის მოსაწვევად. დახმარების პროცესის დასაჩქარებლად გირჩევთ დამოუკიდებლად გამოიძახოთ სპეციალიზირებული სამედიცინო დახმარება, შემდეგ შეატყობინოთ კლუბის თანამშრომელს მისი გამოძახების ფაქტი და აუხსნათ კლუბის წევრის ადგილმდებარეობა, რომელსაც ესაჭიროება პირველადი ან სამედიცინო დახმარების ორგანიზება.

19. შემსრულებელი კლუბის წევრებს აძლევს შემდეგ რეკომენდაციებს;

* გაიარონ ფიტნეს-ტესტირება და გაცნობითი ხასიათის ინსტრუქტაჟი (ინდივიდუალური ან ჯგუფური);

* სატრენაჟორო დარბაზში პროგრამის შესადგენად, გაიარონ სატრენაჟორო დარბაზის პირველადი ინსტრუქტაჟი.

* ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე იქონიონ პირსახოცი.

* ორგანიზმში წყალ-მარილის ბალანსის შესანარჩუნებლად ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობისას მიიღონ სასმელი წყალი.

* ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი ზონები/სტუდიები/დარბაზები დატოვონ კლუბის მუშაობის დასრულების დროზე 30 წუთით ადრე.

* თვალყური ადევნონ შემსრულებლის მიერ დაფებზე, კლუბის მიმღებში, ვებ.საიტზე www.worldclass.ge ან სხვა მეთოდით, შემსრულებლის მიერ კლუბის წევრებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას, კლუბის მომსახურების, კლუბის წესების და ა. შ. შესახებ.

20. კლუბის წევრები ვალდებული არიან აუცილებლად დაიცვან შემდეგი მოთხოვნები:

20.1 კლუბში ვიზიტის დაწყებამდე და მომსახურების და დამატებითი მომსახურების გამოყენების დაწყებამდე გაიაროს სამედიცინო გამოკვლევა, რადგან კლუბის წევრი თავად არის პასუხისმგებელი თავის ჯანმრთელობაზე.

20.2 შეასრულოს კლუბის თანამშრომლის რეკომენდაციები. შეასრულოს რეკომენდაციები ან აკრძალვები/შეზღუდვები, რომლებიც არის განთავსებული საინფორმაციო ან გამაფრთხილებელ ბარათებზე და დანადგარებზე.

20.3 ფიზიკულტურულ, ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სხვა ღონისძიებებზე დასწრება აუცილებელია სპეციალურად ამისთვის განკუთვნილი სუფთა ფეხსაცმლით და ტანსაცმლით, რომელიც ფარავს ტანის ზედა და ქვედა ნაწილს და შეესაბამება უსაფრთხოების სტანდარტებს და ღონისძიების მიმართულეებს.

20.4 ფიზიკულტურულ, ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობისას, მოვიხსნათ ყველა სახის სამკაული (მათ შორის: საყურეები, ჯაჭვი, მძივები, საათები, სამაჯურები, გასაღებები და .შ.)

20.5 ვიყოთ ყურადღებით და ფრთხილად გადავადგილდეთ გასახდელში, საშხაპებში, საბანაო კომპლექსებში და კლუბის სხვა ნაგებობებში. აუცილებლად გამოვიყენოთ გამოსაცვლელი, სუფთა, მყარი და არასრიალა ფეხსაცმელი.

20.6 აუცილებელია ფიზიკულტურულ, ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე, რომლებიც ტარდება ინდივიდუალური ან ჯგუფური მეცადინეობის ფორმატში კლუბის თანამშრომელთან, დაწყების დროზე ადრე მოსვლა. 10 წუთზე მეტი ხნით დაგვიანებამ შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს კლუბის წევრის ჯანმრთელობაზე, ამიტომ კლუბის თანამშრომელს უფლება აქვს არ დაუშვას დაგვიანებული კლუბის წევრი ღონისძიებაზე.

20.7 ტრავმებისა და ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად, დაესწროს ფიზიკულტურულ, ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, კლუბის თანამშრომელთან მეცადინეობის ჯგუფურ ფორმატს, რომელიც შეესაბამება კლუბის წევრის ინდივიდუალური მომზადების დონეს. თუ კლუბის წევრს არა აქვს შესაბამისი დონის მომზადება, კლუბის თანამშრომელს უფლება აქვს არ დაუშვას კლუბის წევრი ღონისძიებაზე.

20.8 ფეხმძიმობის პერიოდში, მხოლოდ მკურნალი ექიმის რეკომენდაციითაა შესაძლებელი ფიზიკულტურულ, ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე დასწრება კლუბის თანამშრომელთან ჯგუფური მეცადინეობის ფორმატში, რომელიც სპეციალურად არის აღნიშნული განრიგში. კლუბის თანამშრომელს უფლება აქვს არ დაუშვას, ფეხმძიმე კლუბის წევრი ღონისძიებაზე, რომელიც არ არის რეკომენდირებული ფეხმძიმეთათვის.

20.9 დაიცვას პირადი და საერთო ჰიგიენა, და სისუფთავე კლუბის ტერიტორიაზე.

20.10 კლუბის მიერ გაცემული პირსახოცი დროებით სარგებლობაში, გამოიყენოს დანიშნულების მიხედვით, მხოლოდ ტანის ჰიგიენისთვის, არ დააგდოს იატაკზე, არ გაწმინდოს ფეხსაცმელი ან სხვა პირადი ნივთები, არ დატოვოს სააბაზანო კომპლექსში.

20.11 სოლარიუმში შესვლისას და საუნის მოხმარების შემდეგ აუცილებელია შხაპის მიღება.

20.12 უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად ეწვიეთ საუნას, ორთქლის აბანოს, მინიმუმ კიდევ ერთ კლუბის წევრთან ერთად.

20.13 დავიცვათ სპორტული ეთიკის პრინციპები, პატივი ვცეთ ფიზიკურად და ტექნიკურად ნაკლებად მომზადებულ კლუბის წევრებს და შეძლებისდაგვარად მივცეთ მათ საშუალება პირველებმა დაამთავრონ ან შეასრულონ ვარჯიში.

20.14 ვარჯიშის დროს, შემთხვევით შეჯახებისას გვქონდეს ადეკვატური რეაქცია სიტუაციაზე და ვიყოთ უფრო ყურადღებიანი და მოწესრიგებულები, შემდგომი ვარჯიშის შესრულებისას და გადაადგილებისას.

20.15 უსაფრთხოების და ტრავმების აცილების მიზნით, სატრენაჟორო დარბაზში მაქსიმალური წონითი ვარჯიშები შევასრულოთ კლუბის თანამშრომელთან ერთად.

20.16 ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ფეხმძიმობის პერიოდში არ შევასრულოთ წონითი ვარჯიშები.

20.17 მეცდინეობის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ გამოსაყენებელი დანადგარი, ინვენტარი, და ა.შ. არის გამართულ, უსაფრთხო და გამორთულ მდგომარეობაში. არ არის უცხო საგნები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ვარჯიშის უსაფრთხოდ შესრულებაზე.

20.18 დამოუკიდებლად მეცადინეობის ან ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სხვა ღონისძიებების შემდეგ, აუცილებელია გამოყენებული ინვენტარი, დანადგარი დავაბრუნოთ მისთვის განკუთვნილ ადგილზე, დავაფიქსიროთ და მოვიყვანოთ არა მუშა მდგომარეობაში.

20.19 არ დავტოვოთ პირადი ნივთები უმეთვალყურეოდ.

20.20 პატივისცემით და სიფრთხილით მოვეკიდოთ ერთმანეთს, კლუბის თანამშრომლებს, მესამე პირებს, კლუბის წევრებს, შემსრულებლის და მესამე პირების ქონებას.

21. კლუბის წევრებს ეკრძალებათ:

21.1 ისარგებლონ მომსახურებით, დამატებითი მომსახურებით შეუძლოდ ყოფნისას, ავადმყოფობის გამწვავებულ პერიოდში, (მათ შორის გადამდები, ინფექციური დაავადებების) და ქრონიკული ავადმყოფობის გამწვავების პერიოდში.

21.2 ფეხმძიმობის პერიოდში ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სხვა ღონისძიებებზე დასწრება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ფეხმძიმეთათვის.

21.3 კლუბის ტერიტორიაზე ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სხვა ღონისძიებების ჩატარება, მათ შორის დამატებით, მაგრამ არა შეზღუდვით:

სავარჯიშო პროგრამების შედგენა, ვარჯიშის პროცესის დროს კლუბის წევრების დახმარება ან კლუბის წევრების სავარჯიშო პროცესის კონტროლი, აგრეთვე კლუბის წევრებისთვის სხვა მომსახურების განხორციელება, ან ასეთი მომსახურებით სარგებლობა. კლუბის წევრებს შეუძლიათ ისარგებლონ, მხოლოდ შემსრულებლის და კლუბის თანამშრომლების მომსახურებით.

21.4 კლუბის ტერიტორიაზე ფიზკულტურული, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარების ზონებში იმყოფებოდეს და ვარჯიშობდეს შიშველი ტორსით, საცურაო კოსტუმში, ზედა ტანსაცმელში, ქუჩის ან ჭუჭყიანი ფეხსაცმლით, ფეხშველა ან წინდებში (გარდა სპეც.მეცადინეობისა) და აგრეთვე სპეციალური დაცვის გარეშე, თუ ასეთი გათვალისწინებულია კონკრეტულ ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებაში.

21.5 დანადგარების, ინვენტარის (ჰანტელების, შტანგების, ფირფიტების და სხვათა) დაგდება, არაკორექტულად მათი გამოყენება, ეს იწვევს დანადგარების, ავეჯის, კლუბის შენობის დაზიანებას და ხმაურს, აგრეთვე საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას.

21.6 ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჯგუფური მეცადინეობის ფორმატში კლუბის თანამშრომელთან მონაწილეობისას საკუთარი ქორეოგრაფიის და ინვენტარის გამოყენება, რომელიც არ არის პროგრამით გათვალისწინებული.

21.7 ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში დაზიანებული ან გატეხილი დანადგარის ან ინვენტარის გამოყენება.

21.8 შემსრულებელთან შეუთანხმებლად საკუთარი ინვენტარის კლუბში შესანახად დატოვება.

21.9 ტემპერატურის რეჟიმის, განათების დონის, სატელევიზიო პანელების მიმართულების და თანმხლები მუსიკის სიძლიერის თვითნებურად შეცვლა.

21.10 კლუბის მუსიკალური და სხვა აპარატურის თვითნებურად მოხმარება, მათ შორის ჩართვა ან დემონსტრირება აუდიო, ვიდეო და სხვა ნაწარმოებების კლუბში ნებისმიერი მატარებლის გამოყენებით. შემსრულებელი იტოვებს უფლებას, თავად აირჩიოს კლუბში ტრანსლირებადი ნაწარმოები, აგრეთვე მისი ტრანსლიაციის თანმიმდევრობა. თუ კლუბის მუსიკალური თანხლება ხელს გიშლით, გირჩევთ იქონიოთ პორტატული მუსიკალური ხელსაწყო ყურსასმენებით და საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოთ, იმ პირობით, რომ საფრთხეს არ შექმნის და ჯანმრთელობას არ დააზიანებს.

21.11 ტრენაჟორების გადაადგილება, შტანგების და ჰანტელების გატანა თავისუფალი ზონიდან. ზონიდან/სტუდიიდან/დარბაზიდან დანადგარის გატანა, რომელიც განკუთვნილია ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისათვის, აგრეთვე ავეჯის გატანა.

21.12 უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ტრენაჟორების თვითნებურად გამოყენება, რომლებიც განკუთვნილია კლუბის თანამშრომელთან ინდივიდუალური მეცადინეობის ფორმატში ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისთვის; (მაგ: Pilates Allegro, Reformer, Cadillac, Chair, Gyrotonic, RPM და სხვა).

21.13 ტრენაჟორების, დანადგარების და ინვენტარის დარეზერვება/დაჯავშნა ზონებში/დარბაზებში, რომელიც განკუთვნილია ფიზკულტურული, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისთვის (კლუბის წევრების ხანგრძლივი არ ყოფნის დროს ამ ზონებში).

21.14 ფიზკულტურული, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისთვის განკუთვნილ ზონებში/სტუდიებში/დარბაზებში თვითნებურად მეცადინეობა ტექნიკური შესვენების დროს, რომელსაც კლუბის თანამშრომლები იყენებენ დასალაგებლად ან დანადგარის, ინვენტარის მონტაჟის ან დემონტაჟისთვის.

21.15 კლუბის იმ ტერიტორიაზე მეცადინეობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისთვის.

21.16 საკვების მიღება ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარების ადგილას, დასვენების ზონებში და კლუბის გასახდელებში. ისარგებლეთ ბარის მომსახურებით.

21.17 მინის და სხვა მსხვერვადი ჭურჭელის გამოყენება სითხეებისთვის და საკვების მისაღებად კლუბის ყველა ზონაში, ბარის გამოკლებით. აუცილებელია მხოლოდ პლასტიკური ჭურჭლის გამოყენება.

21.18 ჭიქების და სხვა ჭურჭლის დადგმა ტრენაჟორებზე, მუსიკალურ აპარატურაზე, დანადგარებზე ან ავეჯზე, რომელიც ამისათვის არაა გათვალისწინებული.

21.19 საღებავი რეზინის გამოყენება დამოუკიდებლად ვარჯიშისას ან ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დროს.

21.20 მოწვევა ან რაიმე მოსაწვევი მოწყობილობის, დანადგარის, საშუალების გამოყენება. პროცესი, რომელიც იწვევს მოწვევის იმიტაციას (მაგ; ელ.სიგარეტი, კალიანი და სხვა) , აგრეთვე კლუბის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ტოქსიკური სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნა.

21.21 ძლიერმოქმედი და აკრძალული პრეპარატების მიღება, ექიმის წერილობითი ნებართვის გარეშე. კლუბის ტერიტორიაზე სახიფათო ნივთიერებების და საგნების შემოტანა, შენახვა: ასაფეთქებელი ნივთიერებები, აფეთქების საშუალებები, და საგნები მათით გაჯერებული, შეკუმშული და თხევადი გაზები, სწრაფად აალებადი სითხეები, აალებადი მყარი ნივთიერებები, ჟანგვითი ნივთიერებები, და ორგანული ზეჟანგები, ტოქსიკური ნივთიერებები, რადიოაქტიური მასალა, კოროზიული ნივთიერებები, მხამიანი და მომწამვლელი ნივთიერებები, იარაღი.

21.22 არანორმატიული ლექსიკის გამოყენება, როგორც ურთიერთობისას, აგრეთვე ტელეფონზე საუბრისას. კლუბის ტერიტორიაზე ხმამაღლი, უპატივცემულო ან აგრესიული ლაპარაკი. ირგვლივ მყოფათათვის ხელის შეშლა, საერთოდ ქცევის ნორმების დარღვევა საზოგადოებრივ ადგილებში.

21.23 კლუბის ნაგებობებში და მის ტერიტორიაზე ღვთისმსახურება, და სხვა რელიგიური რიტუალები და ცერემონიები (ლოცვა, რელიგიური შეკრება).

21.24 რელიგიური, ნაციონალური, სოციალური და სხვა ნიშნით განსხვავების გამო, ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია და უპატივცემულობის გამოხატვა.

21.25 მობილური ტელეფონით სარგებლობა, კლუბის თანამშრომელთან ჯგუფური ფორმატის ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს.

21.26 აერობოლური სითხეების შეტანა კლუბის სველ ზონებში: (საშხაპე, საუნა, ორთქლის აბანო, ტუალეტები და ა.შ.)

21.27 მძაფრი სუნის სუნამოების, მაღამოების და სხვა კოსმეტიკური საშუალებების გამოყენება კლუბის ტერიტორიაზე. აგრეთვე დანადგარების, ტრენაჟორების, სათავსოების, კლუბის ინტერიერის დამაბინძურებელი და გამაფუჭებელი საშუალებები: (თაფლი, ტალახის ნიღბები, ზეთები და ა.შ.).

21.28 კანის მაღალმგრძობელობიანობის შემთხვევაში მაღალ ტემპერატურაზე, ორთქლისა და საბანაო კომპლექსების გამოყენება .

21.29 ორთქლის აბანოს/საუნის სტუმრობისას დანადგარების ქვის და ლითონის ნაწილებზე შეხება.

21.30 საკლუბო ბარათის, იდენტიფიკაციის საშუალების, გასაღების ან სხვა კარადების, სეიფების ჩამკეტ/გამხსნელი საშუალების და ა. შ. კლუბის წევრზე ან მესამე პირზე გადაცემა.

21.31 ყოფნა ტექნიკურ სათავსოებში და სათავსოებში რომელიც განკუთვნილია მხოლოდ კლუბის თანამშრომლებისთვის.

21.32 კლუბის ტერიტორიაზე თვითნებურად წარწერების, განცხადებების, სარეკლამო საშუალებების განთავსება. გამოკითხვები, სარეკლამო მარკეტინგული, საკონსულტაციო ან სხვა სახის მოქმედებების ჩატარება, მათ შორის სამეწარმეო საქმიანობა.

21.33 კლუბის წევრების და კლუბის თანამშრომლების პერსონალური მონაცემების, პირად ცხოვრებაზე ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება.

21.34 შემსრულებლის ნებართვის გარეშე კლუბში კინო, ვიდეო და ფოტო გადაღება.

21.35 საყოფაცხოვრებო ელექტრო მოწყობილობების კლუბში მოტანა და მოხმარება.

21.36 მომსახურებით, დამატებითი მომსახურებით, საბანაო კომპლექსებით სარგებლობა, მაშინ როცა კლუბის წევრს აღენიშნება გახსნილი ჭრილობები, ტრავმები, სოკოვანი და კანის სხვა დაავადებები.

21.37 კლუბის ტერიტორიაზე შიშველ მდგომარეობაში ყოფნა, გარდა გასახდელებისა, საშხაპეებისა და საბანაო კომპლექსებისა.

21.38 აილოს, გაანადგუროს, შეცვალოს, გადააფაროს, გადაადგილოს გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და სხვა სახის საინფორმაციო ბარათები, საინფორმაციო შეტყობინებები, განცხადებები, რომლებიც შემსრულებლის მიერ არის კლუბის ტერიტორიაზე განთავსებული. აგრეთვე მათი ადგილმდებარეობის შეცვლა.

21.39 კლუბის ტერიტორიაზე ნებისმიერი ცხოველის, ძუძუმწოვრის, ფრინველის მოყვანა.

21.40 შემსრულებლის თანამშრომლების მიერ რეკომენდირებული წესების, მოთხოვნების, აგრეთვე აკრძალვების, მოთხოვნების, და გაფრთხილებების იგნორირება, რომლებიც კლუბშია განლაგებული ინსტრუქციების, ტაბლოების, დაფების, განცხადებების სახით.

22. საკლუბო ბარათის, გასაღების, ან სხვა კარადის, სეიფის ჩამკეტ/გამხსნელის, ელექტრონული იდენტიფიკატორის, გარდერობის ნომრის, დროებით მოხმარებაში აღებული ხალათის ან ინვენტარის დაკარგვის შემთხვევაში, კლუბის წევრი ვალდებულია შემსრულებლის მოთხოვნით გადაიხადოს იმ ოდენობის თანხა, რაც გათვალისწინებულია შემსრულებლის პრეისკურანტით.

23. კლუბის წევრის მიერ დატოვებული ან დაკარგული ნივთი, რომელიც იქნება ნაპოვნი კლუბის ტერიტორიაზე, შეინახება, მხოლოდ ერთი (1) თვის განმავლობაში. უმეთვალყურეოდ დატოვებულ ან დაკარგულ ნივთზე შემსრულებელი პასუხისმგებლობას არ იღებს.

24. თუ კლუბის წევრმა, კლუბის ქონების დროებით მოხმარებაში მიღებისას არ წარუდგინა პრეტენზია, მიცემული ქონება გამართულად ითვლება.

25. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირებმა გამოიყენეს კლუბის წევრის საკლუბო ბარათი/საიდენტიფიკაციო საშუალება, შემსრულებელს აქვს უფლება ჩამოართვას და ცალმხრივად უთხრას უარი მომსახურების, დამატებითი მომსახურების მიღებაზე, როგორც კლუბის წევრს, ასევე მესამე პირს.

26. შემსრულებელი არ იღებს პასუხისმგებლობას ზიანზე, რომელიც მიადგა კლუბის წევრის ჯანმრთელობას, თუ:

* არასწორი ინფორმაცია მიაწოდა შემსრულებელს თავისი ჯანმრთელობის შესახებ.

* კლუბის წევრის ქრონიკული ან გამწვავებული ავადმყოფობა.

* კლუბის წევრის გაუფრთხილებლობა.

* თუ კლუბის წევრი ვარჯიშობს თავისი პროგრამით, რომელიც არ არის შეთანხმებული კლუბის თანამშრომელთან.

* თუ კლუბის წევრმა დაარღვია წესები, ან უსაფრთხოების წესები, ან მომსახურების, დამატებითი მომსახურების დროს პირადი ჰიგიენის წესები, ან კლუბის თანამშრომლების რეკომენდაციები, განლაგებული საინფორმაციო ან გამაფრთხილებელ, ამკრძალავ ბარათებზე კლუბში ან დანადგარებზე.

* მესამე პირთა მოქმედება.

* სხვა შემთხვევებში, რომელიც გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

27. შემსრულებელი არ არის პასუხისმგებელი სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც დატოვებულია კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე.

28. შემსრულებელი არ არის პასუხისმგებელი დამკვეთის/კლუბის წევრის ქონების დაზიანებაზე, რომელიც მიყენებულია მესამე პირების/კლუბის თანამშრომლების მოქმედებით.

29. ტექნიკურ ხარვეზებზე, რომელიც გამოწვეულია ქალაქის დაწესებულებების, ორგანიზაციების, კომუნალური და საექსპლუატაციო სამსახურების სეზონური პროფილაქტიკური ან სარემონტო სამუშაოების ჩატარებით, შემსრულებელი პასუხისმგებლობას არ იღებს და არ არის ვალდებული გადაუხადოს ან შესთავაზოს დამკვეთს/კლუბის წევრს რაიმე კომპენსაცია.

30. საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში, მომხდარი არა შემსრულებლის გამო, ან ფორსმაჟორულ სიტუაციაში, რომელიც ცალმხრივად ზღუდავს მოცულობას და მომსახურების უზრუნველყოფას, შემსრულებელი პასუხისმგებლობას არ იღებს და არ არის ვალდებული გადაუხადოს ან შესთავაზოს დამკვეთს/კლუბის წევრს რაიმე კომპენსაცია.

31. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კლუბის წევრს აქვს უფლება წერილობითი განცხადების საფუძველზე განახორციელოს მომსახურების პერიოდის შეჩერება (ყველგან ტექსტში „გაყინვა,,):

31.1 გაყინვის განაცხადი უნდა წარედგინოს შემსრულებელს, მისი გაანგარიშების დაწყებამდე, პირადად კლუბის წევრის მიერ კლუბის მიმღებში, ან e-mail- შეტყობინებით, ან გაფორმდეს ვებ.საიტის www.worldclass.ge მეშვეობით. მხოლოდ მშობელს, რომელიც არის კლუბის წევრი/ დამკვეთი, შეუძლია გაყინვის განაცხადის წარდგენა კლუბის წევრზე რომელიც არ არის 18 წლის.

31.2 გაყინვის დღეების საერთო რაოდენობას და ერთდროულად გამოსაყენებელ დღეების მინიმალურ რაოდენობას ერთ საკლუბო ბარათზე ადგენს შემსრულებელი და იღება ხელშეკრულებაში.

31.3 თუ სხვა არ არის გათვალისწინებული კლუბის წესებით, შემსრულებელი ახორციელებს მომსახურების გაწევის შეჩერებას, კლუბის წევრის მიერ გაყინვის განცხადებაში მითითებული თარიღიდან, მხოლოდ შემსრულებლის მიერ სათანადო განცხადების მიღების შემდეგ.

31.4 კლუბის წევრი კარგავს უფლებას გამოიყენოს გაყინვით გათვალისწინებული გამოუყენებელი დღეების რაოდენობა, თუ დღეები ნაკლებია, გაყინვით გათვალისწინებულ, ერთდროულად გამოსაყენებელ დღეებზე, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, და აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ გავიდა/დამთავრდა მომსახურების მიღების პერიოდი.

31.5 კლუბის წევრის მიერ, გაყინვით გათვალისწინებული უფლების გამოყენებისას, მომსახურების მიღების პერიოდი გადაიწვეს, ფაქტობრივად გაყინვით გამოყენებული დღეების რაოდენობის პროპორციულად. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც, კლუბის წევრი გაყინვის პერიოდის გასვლამდე იწყებს მომსახურების მიღებას. ამ შემთხვევაში გაყინვის განაცხადი ავტომატურ რეჟიმში უქმდება და მომსახურების გადაწევა საკლუბო ბარათით არ ხდება. მსგავს შემთხვევებში, გაყინვით გამოყენებული დღეების რაოდენობა ითვლება, გაყინვის ამოქმედების დღიდან, მომსახურების აღდგენის წინა დღის ჩათვლით.

31.6 დამატებითი მომსახურება ,, ფასიანი გაყინვა,, შესაძლებელია შემსრულებლის მიერ შეთავაზებული იქნას კლუბის წევრზე, შემსრულებლის მიერ დადგენილი ნორმებით. თუ

შემსრულებლის მიერ არ არის სხვა მითითება, კლუბის წევრს ფასიანი გაყინვით სარგებლობა შეუძლია, მხოლოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაყინვის ყველა დღის გამოყენების შემთხვევაში. კლუბის წევრის უფლება, ფასიანი გაყინვით სარგებლობაზე, უქმდება მომსახურების მიღების პერიოდის ან ფასიანი გაყინვის პერიოდის ამოწურვისას.

32. სტუმრების ვიზიტები, კლუბში მომსახურების მიღების მოსინჯვის მიზნით, ხორციელდება, მხოლოდ შემსრულებლის მიერ ორგანიზებული, სპეციალური აქციების ჩარჩოში და შემსრულებლის პირობებით.

32.1 კლუბის წევრმა არაუგვიანეს ერთი დღით ადრე უნდა გააფრთხილოს კლუბის თანამშრომლები მისი ახლობლების ვიზიტის თაობაზე კლუბში, რომლებიც არ არიან კლუბის წევრები, და წარუდგინოს სტუმრების სახელები, გვარები, დაბადების თარიღები. წინასწარი შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში, სტუმარი კლუბის ტერიტორიაზე არ დაიშვება.

32.2 კლუბის სტუმარი ვალდებულია დაცვის პოსტზე წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი და დაელოდოს გამცილებელ/თანმხლებ კლუბის თანამშრომელს.

32.3 კლუბის სტუმრისთვის დროებითი საკლუბო ბარათის/საიდენტიფიკაციო საშუალების და სხვა საბუთების, რაც დადგენილია შემსრულებლის მიერ, გაფორმების შემდგომ სტუმარს აქვს უფლება ისარგებლოს კლუბის მომსახურებით, თუ სხვა არ არის გათვალისწინებული წესებით. სტუმრის დროებითი საკლუბო ბარათის/საიდენტიფიკაციო საშუალების და სხვა საბუთების გაფორმება, დადგენილი შემსრულებლის მიერ, ხორციელდება გაყიდვების სექტორის მუშაობის საათებში, თუ სხვა არ არის დადგენილი შემსრულებლის მიერ.

32.4 სტუმარს, კლუბში ერთჯერადი ვიზიტისას, შეუძლია მიიღოს მომსახურება, დამატებითი მომსახურება ერთი დღის განმავლობაში.

32.5 შემსრულებელს უფლება აქვს დააწესოს შეზღუდვები ერთ დღეში, ან სხვა პერიოდში კლუბში მომსვლელი სტუმრების რაოდენობაზე.

32.6 კლუბის სტუმარი ვერ გახდება ადამიანი, რომელმაც მიმართვის დღემდე, ერთი წლის პერიოდში უკვე ისარგებლა კლუბის მომსახურებით, კლუბის სტუმრის სტატუსით. თუ სხვა არ იქნება დადგენილი შემსრულებლის მიერ.

32.7 მომსახურებით, დამატებითი მომსახურებით სარგებლობისას, კლუბის სტუმარი ვალდებულია დაიცვას წესები.

33. კლუბის ზოგიერთ ზონაში ვიზიტი: სატრენაჟორო დარბაზი, ჯგუფური პროგრამების სტუდიები, საბრძოლო ხელოვნების და ფიზკულტურულ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ინდივიდუალური ფორმატი, რეგლამენტირებულია წესების დამატებითი პუნქტებით, რომლებიც ეხება კონკრეტულ სავარჯიშო ზონებს, და ასევე საინფორმაციო, გამაფრთხილებელი და სხვა ბარათებით, ინსტრუქციებით, რეგლამენტებით და ა.შ., რომლებიც განთავსებულია კლუბის შენობებში.

34. კლუბის წევრი, თანმხლები პირი ატარებს რისკს არასახარბიელო შედეგებისა თუ არ იცავს და არ ითვალისწინებს: კლუბის წესებს, შემსრულებლის თანამშრომლების მოთხოვნებს ან რეკომენდაციებს, მოთხოვნებს და რეკომენდაციებს, რომლებიც განთავსებულია კლუბში ინსტრუქციების, ბარათების, დაფების, განცხადებების სახით.

35. კლუბის წევრის მიერ წესების დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელი იტოვებს უფლებას გადახედოს კლუბის წევრის ხელშეკრულებას, და კლუბის წევრის უარის შემთხვევაში დაემორჩილოს კლუბის წესებს, შემსრულებლის მიერ დადგენილ სხვა წესებს, კლუბის თანამშრომლების რეკომენდაციებს, შემსრულებელს უფლება აქვს შეუწყვიტოს კლუბის წევრს მომსახურება.

36. რაიმე სახის ინფორმაცია (მათ შორის: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, ტელეფონი, ინფორმაცია სამსახურის შესახებ, კლუბში ვიზიტების განრიგი, კლუბის მომსახურებით სარგებლობა და სხვა) კლუბის წევრებზე, პოტენციურ ან შესაძლებელ წევრებზე, და აგრეთვე კლუბის თანამშრომლებზე წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და შემსრულებელს, კლუბის თანამშრომლებს, კლუბის წევრებს, პოტენციურ კლუბის წევრებს და მესამე პირებს არა აქვთ უფლება ამ ინფორმაციის გაცემის და გასაჯაროების, თუ სხვა არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

37. საჭიროების შემთხვევაში და კლუბის წევრების უსაფრთხოებისა და კომფორტისთვის, შემსრულებელი იტოვებს უფლებას ცალმხრივ რეჟიმში შეიტანოს ცვლილებები და დამატებები წესებში. წესებში ცვლილებები, დამატებები, კლუბის მიერ წესების გამოყენება, განსაზღვრული წესებით და ხელშეკრულებით, არ არის იმის საფუძველი, რომ კლუბის წევრებს წარედგინოს რაიმე კომპენსაცია.

38. კლუბის წევრი, მომსახურების, დამატებითი მომსახურების მიღების დაწყებამდე, აცხადებს, რომ არა აქვს სამედიცინო უკუჩვენებები, კლუბში ვიზიტისა და მომსახურების მიღებაზე.

39. შემსრულებელი აქცევს ყურადღებას, რომ კლუბის წევრების მიერ წესების დაცვა დადებით გავლენას ახდენს თითოეულ კლუბის წევრის ჯანმრთელობაზე და წინასწარ განსაზღვრავს წარმოქმნილ, შესაძლებელ ნეგატიურ შედეგს.